ვახტანგ გომელაური

ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი, ფსიქოთერაპევტი

დრო ფსიქოანალიზში: ფროიდიდან ლაკანამდე

დღევანდელ ლექციაში განვიხილავ დროის საკითხს ფსიქოანალიზში, როგორც ზიგმუნდ ფროიდთან ასევე ჟაკ ლაკანთან. მიმაჩნია, რომ ფსიქოანალიზი დროის გაგებას სძენს რადიკალურად განსხვავებულ პერსპექტივას დროის ქრონოლოგიურ მოდელთან შედარებით. დროის საკითხი ფუნდამენტური მნიშვნელობის არის თავად ფსიქოანალიზისთვის, როგორც თეორიაში, ასევე განსაკუთრებით კლინიკური პრაქტიკაში.

ფსიქოანალიტიკური მეთოდის ინაგურალურ ნაშრომში, სიზმრების ინტერპრეტაციაში ფროიდი აჩვენებს რომ სიზმარი არ არის წარსული გამოცდილებების უბრალოდ გადამუშავების პროცესი, რადგან მისი მიმართება წარსულთან არ არის თანმიმდევრული, არამედ იგი მუშაობს კონდენსაციის და გადანაცვლების პრინციპით, რის შედეგადაც სიზმრის ერთი ელემენტიც კი შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე გაერთიანებულ ასოციაციას. (Freud, 1900/2024).

ამას განსაკუთრებით ნათლად ვხედავთ ირმას სიზმრის ანალიზში რომელიც ითვლება ფსიქოანალიტიკური სიზმრის ინტერპრეტაციის პირველ მაგალითად. ეს არის თავად ფროიდის სიზმარი რომელშიც იგი სინჯავს ირმას ხახას და მასში ხედავს თეთრ ლაქას. ეს დეტალი არ არის დაკავშირებული მხოლოდ ერთ კონკრეტულ ასოციაციასთან, იგი უკავშირდება სხვადასხვა დროს მიღებულ გამოცდილებებს. პირველ რიგში ამ გამოცდილებებიდან ფროიდი იხსენებს წინა საღამოს საუბარს ახალგაზრდა კოლეგა ოტოსთან ირმას შემთხვევის შესახებ, ასევე ასოციაციურ კავშირს ავლებს შემთხვევასთან როდესაც ფროიდმა დაუნიშნა სხვა პაციენტს წამალი რომელიც შემდგომ ტოქსიკურად იქნა ცნობილი, და აგრეთვე თეთრმა ლაქამ მოაგონა მისი ქალიშვილი მატილდას ორი წლის წინანდელი დიფტერიის ავადმყოფობა რომელმლის დროსაც მას ხახაში ნადები გაუჩნდა. (Freud, 1900/2024).

აქ მნიშვნელოვანი არის ის რომ სიზმარში არ ხდება წარსულის გახსენება ისე როდორც ეს ხდება ცნობიერებაში. ეს ნიშნავს იმას რომ სიზმრის ელემენტები არ ეკუთვნის ერთსა და იმავე დროს. ერთ სიზმრის ხატში შეიძლება გაერთიანდეს იმდღევანდელი გამოცდილება, ახლო წარსული ან/და წლების წინანდელი მოგონებები და მათი თანმიმდევრულობა იყოს დარღვეული. ამგვარად ფროიდი აჩვენებს რომ ფსიქიკურ პროცესებში დრო არ არის წრფივი და ქრონოლოგიური, იგი შეიძლება იყოს დეფორმირებული, კონდესირებული და სტრუქტურულად გაერთიანებული სიზმრის ელემენტებში.

ფსიქიკაში აწმყოსა და წარსულს შორის ურთიერთქმედების აღოჩენას და გაგებას ფროიდი პირველად იწყებს კლინიკურ მასალაზე დაყრდნობით.

ამ კუთხით მნიშვნელოვანი ხდება ფიქსაციის ცნება, რომელიც საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად დავინახოთ თუ როგორ ურთერთქმედებენ დროის სხვადასხვა მომენტები ფსიქიკურ ცხოვრებაში. პირველად დროის ამგვარ გაგებას ფსიქოანალიზში სწორედ ამ კორპუსში გავეცანი როდესაც ქალბატონი მარინე ჩიტაშვილი გვასწავლიდა ფროიდის შესავალ ლექციებს ფსიქოანალიზში. ფიქსაციის ცნებამ განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება რადგან მისმა გააზრებამ პირველად დამანახა არაცნობიერში დროის არა-წრფივობა. ფროიდის მიხედვით, ფიქსაცია ნიშნავს, რომ განვითარების გარკვეული ეტაპზე ლიბიდო ფიქსირდება, გარკვეულ კომპლექსად კრისტალიზაციას განიცდის რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ ეროგენულ ზონასთან და კმაყოფილების სპეციფიკურ ფორმასთან. ფროიდთან ფიქსაცია არ აიხსნება მხოლოდ ტრავმით. იგი შეიძლება წარმოიშვას როგორც დაუკმაყოფილებლობის ასევე პირიქით გადაჭარბებული სტიმულაციის შედეგად. (Freud, 1917/2024).

ეს ფიქსირებული კომპლექსი არ ქრება; იგი რჩება როგორც ადგილი, რომლისკენაც შესაძლებელია დაბრუნება. შემდგომში, როდესაც სუბიექტი ეჯახება გარკვეულ დაბრკოლებას ან წინააღმდეგობას, შესაძლოა მოხდეს რეგრესია - ლიბიდო უკან ბრუნდება იმ ეტაპზე, სადაც მოხდა ფიქსაცია. ამგვარად, თითქოს რაღაც ფიქსირდება დროში, შემდეგ ყველაფერი ერთი შეხედვით ნორმალურად ვითარდება, მაგრამ გარკვეული კრიზისის შედეგად სუბიექტი კვლავ შეიძლება აღოჩნდეს მრავალი წლის წინ განვლილ ეტაპზე.

ეს დაბრუნება არ არის უბრალოდ წატსულის გახსენება არამედ განვლილი მომენტის გაცოცხლება აწმყოში. სწორედ ამ თვალსაზრისით ფიქსაცია შეიძლება გაგებულ იქნას როგორც

დროში მოგზაურობა, არა იმიტომ, რომ სუბიექტი რეალურად ბრუნდება წარსულში, არამედ იმიტომ, რომ წარსული კვლავ აქტიურდება აწმყოში.

ამგვარად, ფიქსაცია გვაჩვენებს, რომ ფსიქიკურ ცხოვრებაში დრო არ მიედინება მხოლოდ ერთ მიმართულებით, და შესაძლოა მოხდეს დროის შებრუნება - რეგრესია.

კლინიკური კუთხით ფროიდისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდება ის თუ რა გავლენას ახდენს აწმყო გამოცდილებები წარსულის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით იმის გამო რომ ეს აგრეთვე გვაჩვენებს თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ფსიქოანალიტიკურ მკურნალობას წარსულზე და შესაბამისად პიროვნულ სტრუქტურაზე. ამის კარგი მაგალითი არის ემას შემთხვევა. (Freud, 1895/2024).

აქ ფროიდი აღწერს ორ განსხვავებულ სიტუაციას, მაგრამ ისინი წარმოდგენილია შებრუნებული ქრონოლოგიით: პირველად ფროიდი გვაცნობს უფრო გვიანდელ სცენას, ემას მოზარდობის პერიოდიდან, როდესაც იგი შედის მაღაზიაში და იქ გამყიდველების სიცილის ფონზე განიცდის ძლიერ შფოთვას. ეს შფოთვა არ აიხსნება მხოლოდ მოცემული მომენტით და თავიდან გაუგებარია როგორც სიმპტომი. მხოლოდ შემდგომში იკვეთება უფრო ადრინდელი სცენა ბავშვობიდან, როდესაც ემა სხვა მაღაზიაში იმყოფებოდა და ადგილი ჰქონდა გამყიდველის მხრიდან მასზე სექსუალურ ძალადობას. იმ დროს ეს არ იყო ემას მიერ ტრავმულად აღქმული. სწორედ ამ უფრო გვიანდელი სიტუაციის ფონზე ადრინდელი გამოცდილება იძენს თავის მნიშვნელობას: იგი განიცდება ახალი კუთხით და იქცევა სიმპტომის საფუძვლად.

ფროიდი გვიჩვენებს ფუნდამენტურ დინამიკას: მოვლენის მნიშვნელობა არ არის აუცილებლად განსაზღვრული იმ მომენტში, როდესაც იგი ხდება. ეს ცვლის წარმოდგენას დროზე: ისტორია აღარ მოძრაობს უბრალოდ წარსულიდან მომავლისკენ, არამედ ფორმირდება შემდგომში, უკუხედვით. ამ ფენომენს ფსიქოანალიტიკურ ლიტერატურაში მოგვიანებით ერქმევა *Nachträglichkeit (Laplanche & Pontalis, 1973).*

მსგავსი ლოგიკა აღმოვაჩინე ჩემს კლინიკურ პრაქტიკაშიც ბავშვებთან. ზოგჯერ ბავშვები მოდიან გამოცდილებით, რომელსაც ისინი თავად არ აღიქვამენ როგორც ძალადობრივს ან ტრავმულს. ეს გამოცდილება არსებობს, მაგრამ მისთვის შესაბამისი მნიშვნელობა ჯერ არ არის მინიჭებული. მას შემდეგ როდესაც ამ გამოცდილებას ვასახელებ და ვსვამ შესაბამის კონტექსტში ბავშვი იწყებს იმის გაგებას, თუ რა მოხდა რეალურად. გამოცდილების ამ ახალი

მნიშვნელობის შედეგად მან შეიძლება მიიღოს ტრავმული ხასიათი. შესაბამისად ფსიქოლოგიური ტრავმირება ყოველთვის არ ხდება იმ მომენტში როდესაც ბავშვზე ძალადობენ. იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს მოგვიანებით, ისევე როგორც ამას ფროიდი გვიჩვენებს ემას შემთხვევაში.

ესეთ შემთხვევებში თერაპიული ჩარევა სწორედ მომავლის გამო არის აუცილებელი: თუ ამ გამოცდილების შესაბამისი მნიშვნელობა არ მიენიჭა იგი შეიძლება აღქმულ იქნას როგორც რაღაც „ნორმალური“ და მომავალში განსაზღვროს ადამიანის ქცევა და ბედი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კლინიკურ მუშაობაში ჩვენ ვეხებით წარსულს ისე, რომ მისი მნიშვნელობის ფორმირება ცვლის სუბიექტის მომავალ ტრაექტორიას.

ამგვარად, წარსული აღარ არის დასრულებული და ფიქსირებული რეალობა. იგი რჩება ღიად, როგორც მასალა, რომლის მნიშვნელობაც შეიძლება გადაიწეროს. სწორედ ამიტომ, ფროიდის შუა პერიოდის შრომებში ვხედავთ ამ მექანიზმის უფრო სისტემატურ გამოყენებას: მნიშვნელობა არ არის პირველადი და მყისიერად მოცემული, იგი ყალიბდება პროცესში, სხვადასხვა დროის შრეების ურთიერთქმედების შედეგად. ამ თვალსაზრისით, ფსიქოანალიზში დრო მოძრაობს ორი მიმართლებით, წარსულიდან აწმყოსკენ, და აწმყოდან წარსულისკენ.

ესეთი კუთხით დანახული დროის ლოგიკას მივყავართ შემდეგ შეკითხვამდე: თუ მნიშვნელობა არ არის ფიქსირებული და წარსული გადამუშავდება მომავალში, მაშინ რა ფორმით გვევლინება იგი ანალიტიკურ პროცესში?

ზიგმუნდ ფროიდი თავის ნაშრომში: გახსენება, გამეორება და გადამუშავება სწორედ ამ საკითხს განიხილავს და გვიჩვენებს რომ პაციენტს ყოველთვის არა აქვს წარსულის მნიშვნელობებზე პირდაპირი წვდომა. ის რისი გახსენებაც მას ცნობიერად ვერ გამოსდის ბრუნდება გამეორების სახით. ეს გამეორება ვლინდება ქცევაში, დამოკიდებულებებში და განსაკუთრებით ტრანსფერენსში. ამგვარად გაუცნობიერებელი წარსული ვერ ხდება ის რაც „იყო“, იგი მუდმივად მეორდება აწმყოში (Freud, 1914/2024).

ამის გათვალისწინება კლინიკურ პრაქტიკაში რადიკალურად ცვლის ანალიზის მეთოდს. ანალიტიკური მუშაობა ვეღარ დაიყვანება ინტერპრეტაციის და ინსაიტის სწრაფ ეფექტზე. გადამუშავება გულისხმობს ხანგრძლივ პროცესს, სადაც ანალიტიკოსი და პაციენტი სხვადასხვა ფორმით წარმოჩენილ ერთსა და იმავე პრობლემას განმეორებით აწყდებიან.

სწორედ ამიტომ ფროიდი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მოთმენის აუცილებლობას ანალიტიკოსისთვის. წინააღმდეგობის გადამუშავება მოითხოვს დროს, იგი ვერ დაიძლევა ერთჯერადი გაცნობიერებით და ინტელექტუალური გაგებით. ანალიტიკოსის ამოცანა არ არის დროის დაჩქარება, არამედ დაცდა და გაძლება იმ სივრცის შესანარჩუნებლად სადაც გამეორება თანდათან მუშავდება.

ამ კონტექსტში გამეორება დროის სრულიად განსხვავებულ ლოგიკას გვიჩვენებს. ის, რაც მეორდება, ვერ იქცევა უბრალოდ მოგონებად; რომ შეეძლოს წარსულის ჩვეულებრივ ნაწილად ქცევა, გამეორების აუცილებლობაც გაქრებოდა. გამეორება აწმყოში აბრუნებს იმას, რაც ისტორიად ვერ გადაიქცა და ჯერ კიდევ მოქმედებს როგორც ამჟამინდელი.

ეს საკითხი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ნაშრომში „სიამოვნების პრინციპის მიღმა“, სადაც ფროიდი აღწერს პროცესს, რომელიც არ ემორჩილება სიამოვნების პრინციპს. სუბიექტი შეიძლება კვლავ და კვლავ უბრუნდებოდეს მტკივნეულ გამოცდილებას, არა იმიტომ, რომ ეს სიამოვნებას ანიჭებს, არამედ იმიტომ, რომ რაღაც წინააღმდეგობას აწყდება მათი გადაწყვეტის გზაზე (Freud, 1920/2024). ამგვარად, დრო აქ აღარ არის მხოლოდ გახსენებისა და გადამუშავების გზა; იგი არის ის ადგილი, სადაც დაუმუშავებელი მასალა ჯიუტად ბრუნდება. ამ თვალსაზრისით გამეორება ქმნის დროს, რომელიც არც უბრალოდ წარსულია და არც მომავლისკენ მოძრაობა.

თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში „დასრულებადი და დაუსრულებელი ანალიზი“ ფროიდი განიხილავს ანალიტიკური მკურნალობის დასრულებადობის საკითხს. იგი მიუთითებს, რომ ანალიზში შეიძლება დარჩეს რაღაც, რაც ბოლომდე ვერ ექვემდებარება გადამუშავებას (Freud, 1937/2024). შესაბამისად, ანალიზის დასრულება არ ნიშნავს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ყველაფერი გაირკვა და გარდაიქმნა ცოდნად ან მოგონებად. პირიქით, იკვეთება ზღვარი, სადაც დრო როგორც ანალიტიკური მუშაობის სივრცე აღწევს ლიმიტს და ვეღარ იძლევა ახალ შედეგებს. ამგვარად, ფროიდთან დრო არის არა მხოლოდ ცვლილების შესაძლებლობა, არამედ ის ადგილიც, სადაც რაღაც რჩება უცვლელი.

ამგვარად ფროიდი აჩვენებს რომ არაცნობიერი პროცესები და შესაბამისად ფსიქოანალიტიკური პრაქტიკა არ ექვემდებარება დროის სწორხაზოვან გაგებას. ანალიზი მოითხოვს დეფორმირებულ, კონდენსირებულ, გაჩერებულ და ერთ წრეზე გაჭედილ დროსთან მუშაობას. ფსიქოანალიტიკოსის მუშაობა მოითხოვს მოთმენას, თითქოს უშედეგოდ

დახარჯული დროის ატანას და აგრეთვე რაღაც მომენტში ანალიზის შეწყვეტას, რადგან სუბიექტის რაღაც ნაწილი შესაძლოა არასოდეს შეიცვალოს. ასეთი დროის თეორიული ჩამოყალიბების და მის ანალიტიკურ პრაქტიკაში განხორციელების განვითარება მოახდინა ჟაკ ლაკანმა.

ლაკანი დროის საკითხს არ განიხილავს მხოლოდ არაცნობიერი პროცესების თავისებურებად, არამედ ხედავს მასში სუბიექტის წარმოშობის ქვაკუთხედს. მისთვის მთავარი კითხვა აღარ არის ის, თუ როგორ არის ორგანიზებული გამოცდილება დროში, არამედ ის, თუ რა სახის დრო არის საჭირო სუბიექტის წარმოსაჩენად. სწორედ ამ მიზნით ლაკანი ახდენს დროის თეორეტიზაციას და შემოაქვს ლოგიკური დროის ცნება, სადაც დრო განისაზღვრება არა ხანგრძლივობით, არამედ იმით, თუ რა პოზიცია უჭირავს მასში სუბიექტს. (Lacan, 1945/2006).

ლაკანი დროის თეორიას აყალიბებს პატიმრების მაგალითის გაანალიზებით. სამი სუბიექტი ჩაყენებულია სიტუაციაში რომელშიც თავის გასანთავისუფლებლად უნდა გამოიტანონ დასკვნა საკუტარ თავზე სხვებზე დაკვირვების გზით. არც ერთ მათგანს არ აქვს პირდაპირი წვდომა ცოდნაზე საკუთარი თავის შესახებ; სუბიექტი იძულებულია ივარაუდოს ის თუ რას ხედავენ და რას ფიქრობენ სხვა პატიმრები. სწორედ ამ პირობებში ლაკანი გამოყოფს სამ განსხვავებულ დროით ოპერაციას. პირველი არის შემჩნევის მომენტი, რომელშიც მომენტალურად ხდება შთაბეჭდილების შექმნა ვითარებაზე. მეორე არის გაგების დრო, სადაც სუბიექტი ახდენს სხვების გათვალისწინებას საკუთარი მსჯელობის პროცესში და ცდილობს თავისი პოზიციის განსაზღვრას მათ ურთიერთმიმართებებზე დაყრდნობით. მესამე არის დასკვნის მომენტი, სადაც სუბიექტი იღებს გადაწყვეტილებას და მოქმედებს, მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა სრულ ცოდნას. სწორედ ეს არის გადამწყვეტი მომენტი, რომლის დროსაც სუბიექტი მოქმედებს მიუხედავად იმისა რომ სრული ცოდნა არ გააჩნია.

მნიშვნელოვანია, რომ ეს სამი დროის სახე არ უნდა გავიგოთ როგორც უბრალოდ თანიმდევრული ეტაპები. ისინი არ იზომება საათით და არ ექვემდებარება ქრონოლოგიას. სუბიექტი შეიძლება გაჩერდეს გაგების დროში და ვერ გადავიდეს მოქმედებაზე, ან პირიქით, ნაადრევად იმოქმედოს. ეს ნიშნავს, რომ დროსთან სუბიექტის მიმართება დამოკიდებულია არა გარეგან გამოხატულებაზე არამედ იმაზე, თუ რა პოზიციას იკავებს სუბიექტი სხვებთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით, დრო არ არის წინასწარ მოცემული ჩარჩო; იგი წარმოიქმნება ურთიერთობითობის პროცესში.

დროის ამ გაგების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის რომ დასკვნის და მოქმედების მომენტი არ არის უბრალოდ ბოლო ნაბიჯი. იგი რეტროაქტიულად ანიჭებს მნიშვნელობას წინამორბედ მომენტებს. მხოლოდ მოქმედების შემდეგ ხდება გასაგები, რას ნიშნავდა ის, რაც თავიდან სუბიექტმა შეამჩნია და როგორ უნდა გაგებულიყო ის, რის გაგებასაც იგი ცდილობდა. ამგვარად, ლაკანთანაც ვხდებით იმავე ლოგიკას, რომელიც Nachträglichkeit-ში არის წარმოდგენილი: წარსულს მნიშვნელობა ენიჭება მოგვიანებით, და ეს დაგვიანება არ არის შემთხვევითი, იგი ეკუთვნის თავად სუბიექტის სტრუქტურულ ლოგიკას.

ლაკანისთვის ლოგიკური დრო მხოლოდ სამ მომენტად გაყოფილი სქემა არ არის; იგი გვაჩვენებს, რომ სუბიექტი ვერ ემთხვევა დროს, რომელშიც უნდა იმოქმედოს. შემჩნევის მომენტში თითქოს ყველაფერი პირდაპირ არის მოცემული, მაგრამ ეს მომენტი მყისიერია და ჯერ არაფერს წყვეტს ხოლო გაგების დროში სუბიექტი იმყოფება ისეთ პროცესში, რომელიც შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს. სწორედ ამიტომ ჩნდება დასკვნის მომენტის აუცილებლობა, სუბიექტმა უნდა იმოქმედოს მაშინაც კი როდესაც არ აქვს სრულყოფილი ცოდნა. ეს ნიშნავს, რომ სუბიექტი რაღაც მხრივ ყოველთვის ნაადრევად ან დაგვიანებით ახდენს საკუთარი თავის გამოვლენას. (Lacan, 1945/2006).

ლაკანისთვის ეს აცდენა არ არის უბრალოდ დროის არაზუსტობა ან პრაქტიკული პრობლემა. იგი უკავშირდება იმას, თუ რას ნიშნავს სუბიექტად ან როგორც ლაკანი ამბობს კაცად ყოფნა. ლაკანი მეორე სემინარში სწორედ ამ კონტექსტში სვამს კითხვას: „ნუთუ კაცია ის ვინც მოდის დროზე?“. ეს კითხვა არ არის მეტაფორული; იგი ეხება სუბიექტის არსებობის საფუძველს. „დროზე მოსვლა“ გულისხმობს სრულ დამთხვევას იმ მომენტთან, იმ ადგილთან და იმ მოქმედებასთან რომელსაც სუბიექტისკან სხვა მოელის. მაგრამ ლაკანისთვის სუბიექტი სწორედ ის არის, ვინც ვერასოდეს ახერხებს ამ დამთხვევას. სუბიექტი ყოველთვის ან დროზე ადრე მოქმედებს, ან აგვიანებს მაგრამ არ არის ის ვინც სხვების „ობიექტური“ მოლოდინების მიხედვით ზუსტად იქცევა (Lacan, 1978/2020). ესეთი საათივით ზუსტი ქცევა არის ლაკანისთვის იმ პატიმრად დარჩენა რომელიც ვერ ბედავს განთავისუფლებისკენ ნაბიჯის გადადგმას.

ამ აზრს მეორე სემინარში ლაკანი ანვითარებს სუბიექტის მეცნიერულ დროსთან და მანქანასთან შედარებით. მეცნიერებისთვის „დროზე მოსვლა“ ნიშნავს ზუსტ დამთხვევას ბუნების საათთან, იმ დიდ მექანიზმთან, რომელიც მუშაობს გამართულად და ზუსტ დროს

აჩვენებს. მანქანაც სწორედ ასე მუშაობს: იგი ასრულებს ოპერაციას ზუსტად იმ მომენტში, როდესაც მისი სისტემა ამას მოითხოვს, ყოველგვარი აცდენის გარეშე. კაცი კი ცდილობს რომ ამ საყოველთაო დროს დაემთხვეს, დაემორჩილოს საერთო რითმს, მაგრამ ამას ბოლომდე ვერასოდეს ახერხებს.

ლაკანისთვის ცხადია რომ რაც უფრო ვუახლოვდებით სრულ სინქრონიზაციას, მით უფრო ვემსგავსებით მანქანას. ხოლო იქ, სადაც ჩნდება აცდენა: დაგვიანება, ნაადრევი მოქმედება, შეცდომა, იქ ჩნდება სუბიექტიც. ამ თვალსაზრისით, სუბიექტი არის ის, ვინც ამ საერთო დიდი საათთან აცდენით იძენს საკუთარ პოზიციას.

ლაკანი სუბიექტის ქრონოლოგიურ დროსთან მიმართების საფუძველზე აფუძნებს უნიკალურ კლინიკურ მეთოდს. მოხსენებაში, რომელიც ცნობილია „რომის დისკურსის“ სახელით იგი ამტკიცებს, რომ როგორც ფსიქოანალიტიკური სესიის, ასევე ფსიქოანალიტიკური პროცესის ხანგრძლივობა არ შეიძლება განისაზღვროს წინასწარ. თუ სუბიექტი უკვე აცდენილია დროსთან, თუ მნიშვნელობები მოვლენებს ენიჭებათ დაგვიანებით და თუ მოქმედება ყოველთვის წინ უსწრებს სრულ გაგებას, მაშინ ანალიტიკური სეანსიც ვერ დაექვემდებარება ფიქსირებულ ხანგრძლივობას. სეანსის დასრულება უნდა მოხდეს იმ მომენტში, როდესაც სუბიექტი აღწევს ისეთ წერტილს, სადაც მეტყველება სავსე ხდება და იგი საკუთარ სიტყვებზე პასუხისმგებლობას იღებს (Lacan, 1966/2006).

სწორედ აქ უპირისპირდება ლაკანი იმ ანალიტიკურ პრაქტიკას, რომელიც ცდილობს სეანსების დროები გაათანაბროს, მოახდინოს მათი სტანდარტიზაცია და დაუმორჩილოს „ზუსტ დროს“. ფიქსირებული სეანსის დრო გულისხმობს, რომ არსებობს ერთი სწორი ხანგრძლივობა, რომელიც ყველასთვის ერთნაირად მუშაობს - რაც ფაქტობრივად იმავე ლოგიკას იმეორებს, რაც მექანიკურ დროს ახასიათებს. ლაკანისთვის კი ეს ნიშნავს სუბიექტის დროის დაკარგვას. ლაკანს შემოაქვს ტექნიკა რომლის მიხედვითაც ანალიტიკოსს შეუძლია სესიის დასრულება მაშინ როდესაც იგი ამას საჭიროდ ჩათვლის, რაც შესაძლოა მისი დაწყებიდან რამოდენამე წითშიც კი მოხდეს. ცვალებადი სეანსის ცვალებადი ხანგრძლივობა არ არის უბრალოდ ტექნიკური სიახლე; იგი პირდაპირ გამომდინარეობს ლაკანის დროის თეორიიდან. სწორედ სესიის ცვალებადი ხანგრძლივობით ჩატარების დანერგვა იქცა მის საერთაშორისო ფროიდიანული საზოგადოებიდან გარიცხვის ერ-ერთ მთავარ მიზეზად.

თავად ლაკანი კი ამტიცებდა რომ იგი სინამდვილეში უბრუნდებოდა ფროიდს და უფრო ახლოს იყო მის სწავლებასთან ვიდრე ოფიციალური ფროიდიანული ორგანიზაციები. ლაკანისთვის საერთაშორისო ფსიქოანალიტიკურ ასოციაციის (IPA) წამყვანი ეგო ფსიქოლოგიის და ობიექტ ურთიერთობის მიმართულებების ფროიდის იდეებისგან დისტანცირება უკავშირდება იმას, თუ როგორ ვითარდებოდნენ ისინი თეორიულად და ინსტიტუციურად - ფსიქოანალიზი უფრო და უფრო სტანდარტიზდებოდა.

საქმე ეხება დროის და სუბიექტურობის ორ განსხვავებულ გაგებას. ერთ შემთხვევაში ანალიზი მოიაზრება როგორც პროცესი, რომელსაც აქვს განსაზღვრული ეტაპები და გარკვეული ტრაექტორია რომლითაც პაციენტი უნდა განვითარდეს, მიაღწიოს სტაბილურობას და მოახდინოს ადაპტაცია. მეორე შემთხვევაში კი, რომელსაც ლაკანი მიყვება, დრო არ ემორჩილება ასეთ ნორმალიზაციას: იგი არის წყვეტილი, არათანაბარი და დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იჩენს თავს სუბიექტი მეტველების აქტში. მისთვის არ არსებობს ერთიანი სქემა, რომლის მიხედვითაც ყველა ფისიქოანალიტიკური პროცესი უნდა განვითარდეს; თითოეული შემთხვევა განსხვავდება იმით თუ რა მომენტში გამოავლენს სუიექტი თავს მეტყველების აქტში.

ლაკანის აქცენტი სეანსის არათანაბარ ხანგრძლივობაზე და იმ მომენტის მნიშვნელობაზე, სადაც გაგების დრო უნდა დასრულდეს პირდაპირ უკავშირდება იმას, რაც მან ფროიდთან ამოიკითხა. პარადოქსულად სწორედ ამაში მდგომარეობს მისი სხვა ფროიდიანულ მიმართულებებთან დაპირისპირების მიზეზი. მისთვის ფსიქოანალიზი ან დაექვემდებარება სტანდარტიზებულ დროს, ან კი გაითვალისწინებს იმ ლოგიკურ დროს, სადაც სუბიექტი არასოდეს ემთხვევა სიზუსტის მოლოდინებს და სადაც მნიშვნელობა ყალიბდება დაგვიანებულად. ესე დანახული ლაკანის „დაბრუნება ფროიდთან“ ნიშნავს არა უბრალოდ ფროიდის ტექსტებთან დაბრუნებას, არამედ იმ დროის ერთგულებას რომელიც ფსიქოანალიზმა აღოაჩინა და რომელშიც იგი უნდა მოღვაწეობდეს.

References

Freud, S. (2024). *Project for a scientific psychology*. In M. Solms (Ed.), *The revised standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud* (Vol. 1). Bloomsbury. (Original work published 1895)

Freud, S. (2024). *The interpretation of dreams*. In M. Solms (Ed.), *The revised standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud* (Vols. 4–5). Bloomsbury. (Original work published 1900)

Freud, S. (2024). *Remembering, repeating and working-through* (Further recommendations on the technique of psycho-analysis II). In M. Solms (Ed.), *The revised standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud* (Vol. 12, pp. 145–156). Bloomsbury. (Original work published 1914)

Freud, S. (2024). *Introductory lectures on psycho-analysis*. In M. Solms (Ed.), *The revised standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud* (Vols. 15–16). Bloomsbury. (Original work published 1916–1917)

Freud, S. (2024). *Beyond the pleasure principle*. In M. Solms (Ed.), *The revised standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud* (Vol. 18). Bloomsbury. (Original work published 1920)

Freud, S. (2024). *Analysis terminable and interminable*. In M. Solms (Ed.), *The revised standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud* (Vol. 23). Bloomsbury. (Original work published 1937)

Lacan, J. (2006). *Écrits: The first complete edition in English* (B. Fink, Trans.). W. W. Norton & Company. (Original work published 1966)

Lacan, J. (2020). *The seminar of Jacques Lacan, Book II: The ego in Freud's theory and in the technique of psychoanalysis 1954–1955* (S. Tomaselli, Trans.). W. W. Norton & Company. (Original work published 1978)

Laplanche, J., & Pontalis, J.-B. (1973). *The language of psycho-analysis*. W. W. Norton.